INFINITE ENERGY

უსასრულო ენერგია

47/57 მ. კოსტავას ქ., ბიზნეს ცენტრი სინათლე
ოფისი 29, 0179 თბილისი, საქართველო
+995 790 200 322 | info@infinite.ge | www.infinite.ge

ხუთშაბათი, 26 დეკემბერი, 2019
წერილის ნომერი IE-20191224-PA-09

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარმოგიდგენთ, საჩხერის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის „იმერეთი-1-2"-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს N2-813 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა).

15 მეგავატიანი „იმერეთი-1-2" ნაწილს მიეკუთვნება **4 ძირითადი** და 1 სარეზერვო პოზიცია. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია პროექტის სრული არეალისთვის, 15 მეგავატიანი ქეს იმერეთი -1-2-ის გეოლოგიური შესწავლა კი განხორციელდა მხოლოდ ძირითადი 4 პოზიციისთვის. ორაზროვნების გამორიცხვის იხილეთ ძირითადი 4 პოზიციის დასახელება და კოორდინატები.

*ცხრილი 1 ქარის ტურბინა-გენერატორების განთავსების **ძირითადი პოზიციები***

ტურბინების ძირითადი პოზიციები			
პოზიცია	აღმოსავ.	ჩრდილ.	
T2-1	380083	4670767	4
T2-2	380446	4670377	
T2-3b	381160	4669977	
T2-5	382354	4669806	

ტურბინების სარეზერვო პოზიციები წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. მაი გამოყენება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი 4 ტურბინა-გენერატორი ვერ უზრუნველყოფს ჯამურად 15 მეგავატი დადგმული სიმძლავრის გამომუშავებას. ასეთ შემთხვევაში მომზადდება განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

*ცხრილი 2 ცხრილი 2 ქარის ტურბინა გენერატორების განთავსების **სარეზერვო პოზიციები***

ტურბინების სარეზერვო პოზიციები			
პოზიცია	აღმოსავ.	ჩრდილ.	1
T2-5a	382812	4669758	

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 19248
26 12 2019
2 ფ.
02

შპს უსასრულო ენერგია (405104037)

წინამდებარე წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - არატექნიკური რეზიუმე;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ტომი 1;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ტომი 2;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ტომი 3 - დანართები: გეოლოგიური კვლევის ანგარიშები;
- ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება ზურმუხტის შეთავაზებულ ტერიტორიაზე სურამი 2 (GE0000049);
- ერთიანი ცხრილი სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (შესაბამისი გვერდების მითითებით);
- კომპანიის ამონაწერი და მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან კომპანიის მიერ ფლობილი მიწს ნაკვეთების თაობაზე;

თანდართული დოკუმენტაცია ასევე დატანილია CD დისკზე ელექტრონულად.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შპს „უსასრულო ენერგიის"-ის სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 4 **ქარის ტურბინა-გენერატორის ძირითადი პოზიციისთვის, რომელიც გამოყოფილად აღნიშნულია** Error! Reference source not found.**-ში, შესაბამისი კოორდინატების მითითებით.**

პატივისცემით,

თორნიკე ბახტურიძე

აღმასრულებელი დირექტორი
დირექტორთა საბჭოს წევრი